ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის

სხდომის ოქმი N19

25 იანვარი, 2019 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

13:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

თ. ტალიაშვილი, ა. ლაშხი, მ. დარჩია, ბ. დავითულიანი, გ. გოცირიძე, ქ. ჯოხაძე, ვ. ძნელაძე, ნ. ვაჩეიშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ირაკლი გვილავა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი.

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალბატონი თამარ ტალიაშვილი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (წერილი: № 12-031902271-03; 22.01.2019).

მომხსენებელი: ბატონი ირაკლი გვილავა

თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი.

სხდომის თავმჯდომარე, ქალბატონი თამარ ტალიაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და წარმოადგინა დღის წესრიგი, რომელიც მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა კომისიის წევრების მიერ.
ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილების პროექტით, თბილისის 2019 წლის ბიუჯეტში იზრდება კულტურის მიმართულებების დაფინანსება,

რაც გულისხმობს სფეროსა და მასში მოღვაწე პირთა ეკონომიკურად გაძლიერების ხელშეწყობას. ცვლილების შესახებ დეტალური ინფორმაციის წარმოდგენის თხოვნით დეპუტატმა მიმართა ბატონ ირაკლი გვილავას.

მოისმინეს:

ბატონი ირაკლი გვილავას განმარტებით, დედაქალაქის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ შესაძლებელი გახდა გარკვეული თანხის მობილიზება, რომელიც პროგრამას „შემოქმედებითი თბილისი" (კოდი 08 09) დაემატა. ბატონმა ირაკლიმ აღნიშნა, რომ ხსენებული პროგრამის დამუშავებასა და ინიცირებაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიას დიდი წვლილი მიუძღვის.

საქალაქო სამსახურის უფროსის თქმით, პროგრამა გულისხმობს საგამომცემლო, აუდიო-ვიზუალური და სხვა მიმართულების ხელშეწყობას, რომელიც ორიენტირებული იქნება ადამიანების დასაქმებასა და შესაბამისი სფეროს განვითარებაზე. პროექტის ფარგლებში, წელიწადში არანაკლებ ორჯერ, გამოცხადდება ელექტრონული კონკურსი სპეციალურად შექმნილი აპლიკაციის საშუალებით, რისი ტექნიკური უზრუნველყოფისთვის საქალაქო სამსახური მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოსთან ერთად ამზადებს აპლიკაციის ელექტრონულ ვერსიას. ასევე აღნიშნა, რომ პროგრამის ასამოქმედებლად აუცილებელი იქნება სწორი და ეფექტური საინფორმაციო კამპანიის წარმოება, რასაც კომისიის თავმჯდომარე დაეთანხმა.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ „შემოქმედებითი თბილისი" გაგრძელებაა „კრეატიული ინდუსტრიების" ხელშემწყობი პროგრამის, რომელზეც მუშაობა კომისიამ 2014 წელს დაიწყო. დეპუტატის განმარტებით, თავდაპირველად წამოწყება ერთჯერადი ხასიათის იყო და მის ფარგლებში, 2015 წელს „კულტურული მეწარმეობის ფესტივალი" ჩატარდა, შემდგომ წლებში კი მას მოჰყვა „ეთნოფესტი", შემოქმედებითი და კრეატიული ინდუსტრიების ხელშეწყობის პროგრამები, რომლებმაც საბოლოოდ, იმდენად გაამართლა, რომ კომისია და მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური მათ მყარ და სისტემურ ფორმას აძლევენ. ქალბატონმა თამარმა, აქვე დაამატა, რომ სასურველია, პროგრამა „შემოქმედებითი თბილისი" (კოდი 08 09) ბიუჯეტის მზარდი მუხლი იყოს.

კომისიის წევრი, ქალბატონი მარიკა დარჩია დაინტერესდა პროგრამა „შემოქმედებითი თბილისი" (კოდი 08 09) ეხება თუ არა „ეთნოფესტს", რაზეც ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა განმარტა, რომ პროგრამა მსგავსი შინაარსის მიმართულების ხელშეწყობასაც მოიცავს და ნებისმიერს, ვინც შესაბამის ინდუსტრიებში მუშაობს, შეეძლება კონკურსში მონაწილეობის მიღება.

კომისიის წევრმა, ბატონმა ვლადიმერ ძნელაძემ დასვა კითხვა, შეეძლებათ თუ არა საკუთარი ნაწარმოების გამოცემის მსურველებს პროგრამაში ჩართვა, რაზეც კომისიის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ პროგრამის „შემოქმედებითი თბილისი" გულისხმობს საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობას, რომელიც დაკავშირებული იქნება თბილისის ისტორიასა და არქიტექტურასთან.

ბატონი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი დაინტერესდა პროგრამა „შემოქმედებითი თბილისის", რეგულირების საკითხით, რაზეც ბატონმა ირაკლი გვილავამ განმარტა, რომ საქალაქო სამსახური მოცემულ მომენტში ამუშავებს შესაბამის წესს.

საკითხთან დაკავშირებით, ბატონმა ვლადიმერ ძნელაძემ აღნიშნულ დოკუმენტზე მუშაობის პროცესში, კომისიის წევრების ჩართვის თხოვნით, მიმართა ბატონ ირაკლი გვილავას, რასაც კომისიის თავმჯდომარე და ქალბატონი მარიკა დარჩია დაეთანხმნენ.

ბატონი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი დაინტერესდა პროგრამისთვის „შემოქმედებითი თბილისი" (კოდი 08 09) დაფინანსების ოდენობით, რასთან დაკავშირებითაც ბატონმა ირაკლი გვილავამ განმარტა, რომ ჯამში გათვალისწინებულია 400 000 ლარი.

ბატონმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა ასევე დასვა კითხვა თუ რამდენჯერ გამოცხადდება წინადადებების მიღება წლის განმავლობაში, რაზეც ბატონმა ირაკლი გვილავამ უპასუხა, რომ რეგისტრაცია არანაკლებ ორჯერ იქნება.

კომისიის თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ პროგრამა მოიცავს ტრადიციული რეწვის, შემოქომედებითი ინდუსტრიების, მათ შორის, მულტიმედიური მიმართულებების - აუდიო-ვიზუალური ხელოვნების ხელშეწყობას.

ბატონი ნიკოლოზ ვაჩეიშვილის შემდეგი კითხვა ეხებოდა იმას, თუ ვის მიერ მოხდებოდა წარმოდგენილი პროექტების შერჩევა, რაზეც ბატონმა ირაკლი გვილავამ აღნიშნა, რომ შემოსულ პროექტებს განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით შეარჩევს მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის შესაბამისი კომისია.

საკითხთან დაკავშირებით ქალბატონი მარიკა დარჩია და ქალბატონი ანა ლაშხი დაინტერესდნენ, თუ ვინ იქნებიან აღნიშნულ კომისიაში, რასთან დაკავშირებით ბატონმა ირაკლი გვილავამ განმარტა, რომ კომისიაში წარმოდგენილნი იქნებიან თბილისის საკრებულოს წევრები და მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წევრები.

კომისიის წევრი, ქალბატონი ანა ლაშხი დაინტერესდა პროექტების დაფინანსების ზღვრული მოცულობით, რაზეც ბატონმა ირაკლი გვილავამ აღნიშნა, რომ საკითხი მომავალში საჭიროებს მსგავს, კომისიურ ფორმატში განხილვებს.

ბატონმა ვლადიმერ ძნელაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ერთჯერადმა მხარდაჭერამ და შემდეგ დაფინანსების მოხსნამ, შეიძლება ბენეფიციარების არასტაბილურობა გამოიწვიოს, რასაც დაეთანხმა ბატონი ბექა დავითულიანი.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამა გულისხმობს შემოქმედებითი ინდუსტრიების ხელშეწყობის მიზნით, კულტურული პროექტების და არა ბიზნესის დაფინანსებას თბილისის ბიუჯეტიდან, რაზეც ბატონმა ვლადიმერ ძნელაძემ უპასუხა, რომ მუნიციპალიტეტი უნდა დაეხმაროს კონკრეტულ პროექტს ბოლომდე განხორციელებაში, რასაც ერთჯერადი დახმარება, რიგ შემთხვევაში, არ ჰყოფნის.

საკითხთან დაკავშირებით, ბატონმა ირაკლი გვილავამ განმარტა, რომ პროექტების შერჩევისას გათვალისწინებული იქნება მათი მომავალში დამოუკიდებლად გაგრძელების შესაძლებლობა.

ბატონმა ბექა დავითულიანმა აღნიშნა, რომ საკითხის განხილვისთვის მიზანშეწონილია კიდევ ერთი შეხვედრა, რასაც გამოეხმაურა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი თამარ ტალიაშვილი და დააყენა ინიციატივა პროგრამის „შემოქმედებითი თბილისი“ კომისიის სამუშაო სხდომის ფორმატში დეტალურად განხილვის თაობაზე.

კომისიის წევრი, ქალბატონი გულია გოცირიძე დაინტერესდა პროგრამის „შემოქმედებითი თბილისი“ (კოდი 08 09) საბიუჯეტო ასიგნებებით, რაზეც ბატონმა ირაკლი გვილავამ განმარტა, რომ თბილისის 2019 წლის ბიუჯეტში თანხა გათვალისწინებულია აღნიშნულ მიმართულებაზე, რაც წარმოდგენილი ბიუჯეტის ცვლილების პროექტით იზრდება 120 000 ლარით.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

ირაკლი გვილავამ, თამარ ტალიაშვილმა, მარიკა დარჩიამ, ვლადიმერ ძნელაძემ, ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა, ანა ლაშხმა, გულია გოცირიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტის დადებითად შეფასებისა და მისი საკრებულოსთვის განსახილველად გადაცემის შესახებ.

მომხრე _____	7
წინააღმდეგი _____	0
თავი შეიკავა _____	1 (კომისიის წევრი, ბატონი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი)

განათლებისა და კულტურის კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

კომისია დადებითად აფასებს აღნიშნული ბიუჯეტის ცვლილების პროექტს, არ აქვს არსებითი შენიშვნები და წინადადებები მის მიმართ და მხარს უჭერს წარმოდგენილი დადგენილების პროექტის გადაცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

თამარ ტალიაშვილი